



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№823

2016 წლის 4 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით  
ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანების 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფი. (შემდგომში -ჯგუფი)

ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ჯგუფის უფროსი:

ვალერი ხუციშვილი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ჯგუფის წევრები:

შალვა გოგოლაძე - ზედამხედველობის სამსახურის მთ. სპეციალისტი;

თორნიკე მერმანიშვილი- ზედამხედველობის სამსახურის უფ. სპეციალისტი;

როინი კირკიტაძე - ზედამხედველობის სამსახურის უფ. სპეციალისტი;

დავით მერმანიშვილი - ზედამხედველობის სამსახურის მთ. სპეციალისტი.


მუხლი 2. ჯგუფს დაევალოს მისაწოდებელი ან/და მიწოდებელი საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

შენიშვნა: ჯგუფის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებზე, ინსპექტირების განხორციელება.

მუხლი 3. გამოცხადდეს ძალადაკარგულად „შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 მაისის №2/837 ბრძანება.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი  ვარლო ჯამბურია

